

## ელისო ელიზბარაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
საქართველო

### ინოვაციები კომუნიკაში კომუნიკაციების კარგე

*საკვანძო სიტყვები: ბიზანტია, პოლიტიკური ლექსი, კომუნიკაციები, ბიზანტიური პოეზია*

ოქსფორდის ბიზანტიის ლექსიკონში ინოვაციის შესახებ ვკითხულობთ: „ბიზანტიელები არ აფასებდნენ ინოვაციას და გაცხადებულა, რომ ტრადიციაში იყვნენ ჩარჩენილნი. იმიტაცია და განმეორება სტანდარტული წესებისა მათთვის სანაქებოდ ითვლებოდა. არ არსებობდა პლაგიატიზმის ცნება. ხოლო რეფორმები, როგორც წესი, ვლინდებოდა წარსულის განახლებაში და არა ინოვაციაში... ეს უარყოფითი დამოკიდებულება ინოვაციისადმი არ გულისხმობს, რომ ბიზანტიური კულტურა სრულიად დაცლილია ორიგინალურობისგან“<sup>1</sup>. ამ თანამედროვე მოსაზრებას, ინოვაციის როგორც მეტ-ნაკლებად არასასურველი მოვლენის შესახებ ბიზანტიაში, უპირისპირდება მთელი რიგი ფაქტები, რაც გვარწმუნებს, რომ ბიზანტიელთა გაგება ინოვაციისა არ იყო ასეთი ცალსახა. რა თქმა უნდა, არსებობდა სფეროები, სადაც ინოვაცია მკვეთრად უარყოფილი აღმოჩნდა,

---

<sup>1</sup> Kazhdan 1991, v.2, 997-8.

თუმცა ზოგიერთ სხვა სფეროში ინოვაცია იყო არა მხოლოდ მიღებული, არამედ დაფასებული და წახალისებული<sup>2</sup>.

ჩვენი ნაშრომი ეძღვნება ინოვაციის ერთ-ერთ თვალსაჩინო გამოვლინებას ბიზანტიურ პოეზიაში. ზოგადად, ხალხური ელემენტების შემოტანა არის ის ცვლილებათაგანი, რასაც ბიზანტიურ ლიტერატურაში ჰქონდა ადგილი XI-XII საუკუნეების მიჯნაზე, როგორც ამას აღნიშნავენ ა.კაჟდანი და ა.ეპშტაინი პიტერ ბრაუნის რედაქტორობით გამოცემული სერიის – “კლასიკური მემკვიდრეობის ტრანსფორმაცია” – შესაბამის ტომში<sup>3</sup>. კერძოდ კი, კომენტარების საიმპერატორო კარზე ხალხური ლექსის, სტილისა და ახალი მეტრული ფორმის, ე.წ. პოლიტიკური ლექსის, პოპულარობა, ალბათ, საუკეთესო ილუსტრაციაა იმისა, თუ როგორი მიღებული და მხარდაჭერილი შეიძლებოდა ყოფილიყო ინოვაციები ბიზანტიელ არისტოკრატთა მიერ. კომენტარების ეპოქას ბიზანტიის ისტორიაში უწოდებენ პერიოდს დაახლოებით 1081-დან 1185 წლამდე, რამდენადაც ამ დროს ბიზანტიის საიმპერატორო ტახტი ეკუთვნოდათ კომენტარების დინასტიის წარმომადგენლებს (ალექსი I, იოანე II, მანუელ I, ალექსი II და ანდრონიკე I), რომლებიც 104 წელი მართავდნენ ქვეყანას. მიუხედავად იმისა, რომ ტერმინმა „ბიზანტიური რენესანსი“ ვერ ჰპოვა ფართო გავრცელება და დამკვიდრება, ეჭვგარეშეა ის კულტურული აღორძინება და ეკონომიკური წინსვლა, რასაც XII საუკუნის ბიზანტიაში ჰქონდა ადგილი<sup>4</sup>. ლიტერატურული სიახლეებიც სწორედ იმ ცვლილებების კონტექსტში უნდა მოვიაზროთ.

<sup>2</sup> Spanos 2014, 43-56: ბიზანტიელები ინოვაციას ორი ტერმინით აღნიშნავდნენ: καινοτομία და νεωτερισμός.

<sup>3</sup> Kazhdan and Epstein 1985, 84-6.

<sup>4</sup> Magdalino 2002.

როგორც ცნობილია, ბიზანტიური ლიტერატურა ტრადიციულად იწერებოდა ელინისტურ (კოინე) ბერძნულ ენაზე, რაც წარმოადგენდა მყარ ლინგვისტურ იდეალს, ანტიკურ გრამატიკულ სტრუქტურებს, ლექსიკასა და ლიტერატურულ სტანდარტს. ხალხური ლექსიკური ელემენტები უკვე ვლინდება ბიზანტიურ ქრონიკებში მეთორმეტე საუკუნემდე, თუმცა ამ დროისათვის ეს სტილი ჯერ კიდევ მიუღებელი იყო დახვეწილი ლიტერატურული გემოვნებისათვის. ეს დამოკიდებულება შეიცვალა XII საუკუნეში, როდესაც ხალხური ლექსიკა და სტილი ლიტერატურის მამოძრავებელიც კი გახდა<sup>5</sup>.

პარალელურად ცვლილებები ხდება ბერძნულ მეტრულ სტრუქტურაში. განსხვავება მოკლე და გრძელ მარცვლებს შორის, რასაც ანტიკური მეტრი ეფუძნებოდა, ჯერ კიდევ კონსტანტინოპოლის დაარსებამდე იყო გაუჩინარებული მეტყველებიდან<sup>6</sup>. თუმცა თხუთმეტმარცვლოვანი საზომის, ე.წ. პოლიტიკური ლექსის – *πολιτικὸς στίχος* ჩვენთვის ცნობილი პირველი ნიმუშები მათე საუკუნით თარიღდება, კერძოდ, ეს არის ჰიმნი, რომელიც ეძღვნება გაზაფხულის მოსვლას კონსტანტინე VII პორფიროგენეტის თხოულებაში „ცერემონიების შესახებ“<sup>7</sup>.

*πολιτικὸς στίχος* სიტყვასიტყვით ითარგმნება როგორც სამოქალაქო ლექსი, რამდენადაც ის გულისხმობდა პოეზიის სეკულარულ ფორმას გამიზნულს ქალაქის (*Πόλη, Κωνσταντινῶν Πόλη*) მოსახლეობისათვის. თუმცა, პოლიტიკური ლექსის არეალი მხოლოდ საერო პოეზიით არ შემოიფარგლებოდა. ერთ-ერთ მაგალითად შეგვიძლია დავასახელოთ სვიმეონ ახ-

<sup>5</sup> Kazhdan and Epstein 1985, 84.

<sup>6</sup> Maas 1962, 13-15.

<sup>7</sup> Constant.Porphyr. *De cerem.* 366. 9-11; 367. 19-21.

ალი ღვთისმეტყველი, რომელიც თავის ჰიმნებში არ ერიდება ამ სალექსო საზომის გამოყენებას<sup>8</sup>.

მეტრული თვალსაზრისით პოლიტიკური ლექსი არის 15 მარცვლოვანი საზომი, რომელსაც მე-8 მარცვლის შემდგომ მოუდის ცეზურა. მახვილი/აქცენტი აუცილებლად უნდა იყოს მე-14 და მე-6 ან მე-8 მარცვლებზე და არ უნდა ხვდებოდეს მე-7, მე-13 და მე-15 მარცვლებზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მე-7 და მე-13 მარცვალი არის არტიკლი, ნაცვალსახელი, წინდებული და სხვა ამ ტიპის უმნიშვნელო სიტყვა. მე-4 და მე-12 მარცვლებზე აქცენტი უფრო ხშირად გვხვდება ვიდრე მე-3, მე-5 და მე-11 მარცვლებზე. ხოლო 1-ელ და მე-2, მე-9 და მე-10 მარცვლებზე აქცენტი ნაკლებად რეგულირებადია, თუმცა მიდრეკილია მოხვდეს წყვილის მეორე მარცვალზე (მე-2 და მე-10). პოლიტიკური ლექსის სტრუქტურა სქემატურად შემდეგნაირად გამოისახება:

$$\begin{array}{cccccccccccccccc} (/) & (/) & (X & X & /) & | & (/) & (/) & / \\ X & X & X & X & X & \text{ ან } & | & X & X & X & X & X & X & X \\ & & & & & & & (/ & X & X) & | \\ 1 & 2 & 3 & 4 & 5 & 6 & 7 & 8 & | & 9 & 10 & 11 & 12 & 13 & 14 & 15 \end{array}$$

ხალხური ენის ელემენტების მსგავსად, პოლიტიკური ლექსიც არაერთგაროვნად იქნა მიღებული ლიტერატურულ წრეებში. კონსერვატორი მწერლები საერთოდ არ აღიარებენ პოლიტიკურ ლექსს, როგორც ლეგიტიმურ მეტრს. მაგალითად, ნიკიტა სტეთატოსი (XII) მისივე მასწავლებლის სვიმეონ ახალი ღვთისმეტყველის (XI) “ცხოვრებაში” აღნიშნავს, რომ მან „სადმართო სიყვარულის ჰიმნები“ გამართა მეტრით, რაც არ არის მეტრი:

<sup>8</sup> Koder 1969, 87-92.

<sup>9</sup> Jeffreys 1974, 148.

"Τῶν θείων ὑμῶν τοὺς ἔδρατα ἐν ἀμέτρῳ συστέτατε"<sup>10</sup>, რამდენადაც სვიმეონმა გამოიყენა პოლიტიკური ლექსი და სხვა საზომები, რაც არ ეფუძნება კვანტიტეტს. ხოლო ფსელოსის ერთ-ერთი მასწავლებელი იოანე მავროპულოსი წერს, რომ მეტრს, რომელიც არ არის მეტრი, ის არასოდეს უწოდებს მეტრს: "Μέτρον δ' ἄμετρον οὐδ' ἀμᾶν μέτρον λέγει"<sup>11</sup>. პოლიტიკურ ლექსს მეტრულ ფორმად არ მიიჩნევდა ასევე იოანე ცეცე (XIII ს), რომელსაც მრავალი თხზულება აქვს ამ საზომით დაწერილი. თავის ტრაქტატში – Περὶ μέτρων<sup>12</sup>, რაც ასევე პოლიტიკური ლექსითაა გამართული, წარმოგვიდგენს სხვადასხვა კვანტიტეტური მეტრის ილუსტრაციებსა და დასახელებებს, მაგრამ მთელ თხზულებაში არსად არ ახსენებს პოლიტიკურ ლექსს.

მხოლოდ ორი ბიზანტიელი მწერალი – ევსტათი თესალონიკელი (XIII ს) და მაქსიმე პლანუდისი (XIII ს) – განიხილავენ პოლიტიკურ ლექსს როგორც ბერძნულ მეტრულ ფორმას. მათ შორის, ევსტათი თესალონიკელი თავის კომენტარში, რომელიც ეძღვნება „ილიადას“ პირველ ტაეპს, კერძოდ, იქ არსებულ სინეზისის მოვლენას (Πηλεΐδᾶ), ძალზე მოკლედ საუბრობს პოლიტიკური ლექსის წარმომავლობის შესახებ და მიიჩნევს, რომ ის ტროქეული ტეტრამეტრიდან განვითარდა<sup>13</sup>.

ბევრად უფრო ღირებულ ინფორმაციას გვაწვდის პლანუდისი. თავისი ტრაქტატის – "Περὶ γράμματικῆς διάκρισις"<sup>14</sup> – ბოლო ნაწილში იგი წარმოგვიდგენს ბერძნული მეტრული სისტემის მთელ იერარქიას, სადაც პირველი და ყველაზე მაღალი ად-

<sup>10</sup> Nik. Steth. *Sym. Theolog.* 50. 37.12.

<sup>11</sup> Maurop. 34. 5.

<sup>12</sup> Tzetz. *Mert.* 302-33.

<sup>13</sup> Eust. *Thess. Comm. Hom.* II.1. 19.

<sup>14</sup> Plan. *Gramm.* 3-101.

გილი, რა თქმა უნდა, დათმობილი აქვს ჰეგზამეტრს, შემდეგ მოდის ელეგია, შემდეგ იამბი და სულ ბოლოს, როდესაც ჩამოთვლის ყველანაირ შესაძლო მეტრულ ფორმას, ის იხსენიებს პოლიტიკურ ლექსს, როგორც ყველაზე დაბალ საფეხურზე მდგომ ფორმას. მას უკვირს, თუ რატომ დამდაბლდა ადამიანის გემოვნება ასე და უხერხულადაც კი მიაჩნია პოლიტიკურ ლექსზე საუბარი. მისთვის ყოვლად მიუღებელია კვანტიტეტის ნაცვლად აქცენტზე დაფუძნებული ლექსი და სწუხს, რომ ასეთი პრაქტიკა სულ უფრო მეტად გავრცელებული ხდება. და ბოლოს, თავისი განწყობის ნათლად გადმოსაცემად პლანუდისი გვთავაზობს მხატვრულ სახეს – პოლიტიკური ლექსი სუდარაში გახვეული უსულო სხეულია, რადგანაც ტაეპის სული არის კვანტიტეტური მეტრი<sup>15</sup>. მიუხედავად ასეთი ნეგატიური კომენტარისა პლანუდისის მსჯელობა მეტად მნიშვნელოვანია ორი თვალსაზრისით. უპირველეს ყოვლისა, უნდა გავითვალისწინოთ, რომ მაქსიმე პლანუდისი არის XIII საუკუნის მოღვაწე, ხოლო ამ დროისთვის არსებობს უკვე ვრცელი კორპუსი პოლიტიკური ლექსით გამართული თხზულებებისა, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა დაწერილია საიმპერატორო ოჯახის წარმომადგენელთა და, უმეტეს წილად, კომუნოსების ოჯახის წევრთა დაკვეთით. ყოველივე ეს ქმნიდა ფონსა და აუცილებლობას, რომ პოლიტიკური ლექსი მოქცეულიყო საერთო ბერძნულ მეტრულ სისტემაში, რასაც აკეთებს კიდევ მაქსიმე პლანუდისი. გარდა ამისა, მწერალი გვაცნობს თავის მოსაზრებას ამ საზომის გენეზისის შესახებ. კერძოდ, ის თვლის, რომ პოლიტიკური ლექსი არის ანტიკური მეტრული სისტემის დეგრადაციის შედეგი, რომლის დროსაც აქცენტი/მახვილი უშუალოდ ჩაენაც-

---

<sup>15</sup> Plan. *Gramm.* 3-101.

ვლა კვანტიტეტს, როგორც ლექსის ფუნდამენტური პრინციპი. უნდა ითქვას, რომ ბიზანტიელი მწერლის მოსაზრება გენეზისის შესახებ გარკვეულწილად გაზიარებული იყო XIX საუკუნის მკვლევართა მიერ<sup>16</sup>, თუმცა შემგომი დისკუსიები უფრო სხვა მიმართულებით წარიმართა და დღეისათვის ამ საკითხთან დაკავშირებით ყველაზე მნიშვნელოვანი კვლევა ეკუთვნის მაიკლ ჯეფრის<sup>17</sup> და მისი უახლესი სტატიის თანაავტორს ელიზაბეტ ჯეფრის<sup>18</sup>. მათი მოსაზრებით პოლიტიკური ლექსის სათავეები უნდა ვეძიოთ რომაულ ტრიუმფალურ ლექსში, რომელსაც *versus quadratus triumphalis* ეწოდება.

დავუბრუნდეთ ბიზანტიელ მწერალთა წარმოდგენებს პოლიტიკური ლექსის შესახებ. ამ თვალსაზრისით ინფორმატიულია ის ეპითეტები, რასაც თავად პოეტები (მათ შორის, მიქაელ ფსელოსი, იოანე ცეცე, პტოხოპროდრომული პოემების ავტორები თუ სხვანი) ხმარობენ ამ საზომთან მიმართებაში. ცეცე თავის „თეოგონიაში“ წუხილს გამოთქვამს, რომ ვალდებულია, მნიშვნელოვანი ამბების შესახებ სახუმაროდ, გასართობად წეროს: „ἀπέτισα τὸ χρέος, ἐν παύσι δὲ σὺ γράφαις συγγράψαις τὰ σπαιδᾶια“<sup>19</sup>. სიტყვა – "παύσι δὲ" (სახუმარო, სამხიარულო) ყველაზე ხშირად გვხვდება სხვა ავტორებთანაც პოლიტიკურ ლექსთან მიმართებაში. ეს კი ნიშნავს, რომ “თეოგონიის” დამკვეთი, ამავდროულად, ამ აქცენტისანი სალექსო საზომის გამოყენებას ითხოვდა. ცეცე პოლიტიკურ ლექსს ასევე უწოდებს: "παυδῆμοι"<sup>20</sup> (საერთო, საზოგადო), "(καθ-)ῆμαξέμμενοι"<sup>21</sup>

<sup>16</sup> Henrichsen 1839.

<sup>17</sup> Jeffreys 1974: 143-195.

<sup>18</sup> Jeffreys and Jeffreys 2016: 69-81.

<sup>19</sup> Tzetz. *Theog.* 721-722.

<sup>20</sup> Tzetz. *Schol.* 1079.92

(სოფლური, პასტორალური). ხოლო მისეულ „არისტოფანეს სქოლიოებში“ მთელი ტაეპი ნეგატიური ეპითეტებითაა დატვირთული: "κάπηλος, ἀγοραῖον, ἀσπατίας καὶ ἀναιδείας ἀνάμεσόν τε καὶ βάρβαρον"<sup>22</sup> – მატყუარა, ვულგარული, უძღვები და თავხედი, უსირცხვილო და ბარბაროსული. პოლიტიკური ლექსი ასევე მოიხსენიება როგორც "στίχοι ἀπλοῖκίς, λῆξει ἀπλοῖκῃ καὶ περιφιδᾷ δδομαίᾳ"<sup>23</sup> – მარტივი ლექსი და თავისუფალი გამოხატვის საშუალება. ამ კომენტარებიდან ჩანს, რომ პოლიტიკური ლექსი გულისხმობდა არა მარტო მარცვალთა გარკვეული რაოდენობისა და აქცენტების კომბინაციას, არამედ ხალხურ, ან ხალხურთან დაახლოებულ, მარტივ, გარკვეულ, უბრალო და ადვილად გასაგებ ენასა და სტილს. ეს ერთგვარი კომპრომისი ავტორის გემოვნებასა და დამკვეთის სურვილს შორის იოანე ცეცეს მიერ აღინიშნება ტერმინით οἰκονομία. მაგალითად, სწორედ ამ ტერმინს ხმარობს, როდესაც გვამცნობს, რომ დედოფლის მოწადინებით პატარა უსარგებლო წიგნები დაწერა:

Καὶ τὰ ἐμὰ βιβλίδια, τὸ εὐτελές τε τὸδε,  
οἰκονομία συγγραφέν, σπουδῇ τῆς Ἀνάσσης.<sup>24</sup>

სხვაგან მწერალი გვიხსნის, რომ მაღალი ლიტერატურული სკოლის წარმომადგენელია, მაგრამ ზოგჯერ იძულებულია წეროს მარტივი, უბრალო ენით. და თუკი ვინმე მის მიმართ კრიტიკის ისრებს ისვრის, მან არ იცის, რა არის οἰκονομία:

<sup>21</sup> Tzetz. *Hist.* 9: 275; Tzetz. *Schol.* 933.10.

<sup>22</sup> Tzetz. *Schol.* 598.21

<sup>23</sup> Neophytos, Πεντηκοντακέφαλος βίβλος - იბ. Tsiknopoulos 1952.

<sup>24</sup> Tzetz. *Alleg.* 18. 659-60; ასევე: *Alleg. prooemion*, 37-40; Tzetzes, *Theog.* 500- 503, 728-733; და სხვ.



Εἰ δὲ τις πέμψῃ πρὸς ἡμᾶς ἐν τούτοις μᾶμους βέλος,  
οὐκ ἔστιν ἄνθρωπος εἰδὼς τρόπους οἰκονομίας.<sup>25</sup>

მიუხედავად ამ დამოკიდებულებისა, იგივე იოანე ცეცე თავის თხზულებებში უფრო ხშირად იყენებს პოლიტიკურ ლექსს, ვიდრე ნებისმიერ სხვა რესპექტაბელურ კვანტიტეტურ მეტრს. ამის მიზეზი არის პატრონაჟის აქტი, როდესაც დამკვეთი განსაზღვრავს ფორმასა და სტილს და ის ფაქტი, რომ კომნენოსების საიმპერატორო ოჯახის წარმომადგენლებს, მწიგნობართაგან განსხვავებით, ამკარად მიმზიდველად და საინტერესოდ მიაჩნდათ სწორედ ეს თხუთმეტმარცვლოვანი სალექსო საზომი. „თეოგონია“<sup>26</sup> და „ილიადას ალეგორია“<sup>27</sup> არის პირველი ორი თხზულება, რაც იოანე ცეცემ პოლიტიკური ლექსით გამართა. „თეოგონია“ მიძღვნილია მანუელ კომნენოსის უმცროსი ძმის, სევასტოკრატორ ანდრონიკეს ცოლისადმი – ირინისადმი. ირინის დავალებით ცეცეს უნდა დაეწერა ღმერთების კატალოგი და გმირთა გენეალოგია. თხზულების ძირითადი ნაწილი სრულდება სიტყვებით: “თქვენდამი ვალი დაფარულია, დავალება შესრულებულია” – “ἔχεις σὺ γὰρ τὸ δάθειον· ἀπέτισα τὸ χρέος”<sup>28</sup>. ხოლო „ალეგორია“ მიძღვნილია მანუელ კომნენოსის პირველი ცოლისადმი, ირინისადმი (რომელსაც ადრე ერქვა ბერტა ფონ ზულცბახი) და, ანალოგიურად, დედოფლის დაკვეთით არის დაწერილი. რამდენადაც დედოფალი გარდაიცვალა, ცეცემ დაკარგა სპონსორი, როგორც “ალეგორიის” XV და XVI

<sup>25</sup> Wendel 1940: 26: 48-49.

<sup>26</sup> Tzetz. *Theog.* 500- 503, 728-733;

<sup>27</sup> Tzetz. *Alleg.*

<sup>28</sup> Tzetz. *Theog.* 721.

თავებშია საუბარი, და თხზულება დაუსრულებელი დარჩებოდა რომ არა კონსტანტინე კოტერცის წყალობა.

ცეცე ხშირად ირიბად მიუთითებს პატრონაჟის აქტზე, რათა გააგებინოს მკითხველს, რომ ის მიდის ლიტერატურულ კომპრომისზე დამკვეთის გემოვნებისა და მოთხოვნის გამო. თავად ამ აქტის ბუნებაზე კარგად მეტყველებს ის ფრაზები, სადაც ცეცე მოიხსენიებს საკუთარ თხზულებებს. ამ დროს წიგნის შინაარსი გადაწეულია უკანა პლანზე და მთავარი ყურადღება ეთმობა, თუ ვისადმი არის ის მიძღვნილი. კერძოდ, იგი წერს: “γράφωv ἐξήγησιν Ὁμήρου τῆ Αὐγούστου”<sup>29</sup> – როდესაც ვწერდი ჰომეროსის მონათხრობს ავგუსტასთვის; “τῆ τῆς Αὐγούστου βίβλου”<sup>30</sup> – ავგუსტას წიგნში; “Ἡμεῖς δ’ ἠκλιγοδῆσαμεν πρὶν τῆ Αὐγούστου τὰδε”<sup>31</sup> – ჩვენ აღვწერეთ ეს ავგუსტამდე... აქედან გამომდინარე ნათელია, თუ რა გავლენა ჰქონდა პარტონს/სპონსორს მწერალზე, რომელსაც ამღევდა დავალებას, მითუმეტეს, როდესაც ეს პატრონი იყო დედოფალი.

კიდევ ერთი ცნობილი მწერალი, რომელიც ჩართულია კომენტარების საიმპერატორო ოჯახის დაკვეთებში, არის კონსტანტინე მანასე (XIII ს.). მისი თხზულება Σύνοψις Ἰστορικῆ დაიწერა ირინის სპეციალური დავალებით და, როგორც მოსალოდნელი იყო, გამართულია პოლიტიკური ლექსით. მანასე პირდაპირ მიუთითებს იმ ფინანსურ სარგებელზე, რასაც ის ღებულობს თავისი დამკვეთისგან. კერძოდ, თხზულების საწყის ტაეკებში იგი მიმართავს დედოფალ ირინის სიტყვებით, რომ „მისი საჩუქრების სიდიდე და გულუხვობა ამხნევებს მას წერის პროცესში; ხო-

<sup>29</sup> Tzetz. *Hist.* 9. 274.

<sup>30</sup> Tzetz. *Hist.* 13. 618.

<sup>31</sup> Tzetz. *Alleg.* 284.

ლო ხშირი საჩუქრები მძიმე შრომითა და ჯაფით გამოწვეულ წყურვილს უკლავს“:

παραμισθιῦνται γὰρ ἡμῶν τοῦς ἐν τοῖς λόγοις μόχθους  
αἱ μεγαλοδωρίαί σου καὶ τὸ φιλότημόν σου,  
καὶ τὸν τοῦ κόπου καύσωνα καὶ τῆς ταλαιπωρίας  
αἱ δωρεαὶ δροσίζουσιν κενούμεναι συχνάκις.<sup>32</sup>

კონსტანტინე მანასეს ეკუთვნის რომანი “არისტანდრე და კალითეა”, რომელიც ასევე პოლიტიური ლექსითაა გამართული და ფრანგმენტულადაა შემორჩენილი. მაგრამ, ამ შემთხვევაში, არ ჩანს რაიმე კვალი, რომ მწერლის არჩევანი დაკვეთით და პატრონაჟის აქტით ავხსნათ.

ერთ-ერთი პტოხოპროდრომიკული<sup>33</sup> პოემა ასევე მიძღვნილია პატრონისადმი საჩუქრების სანაცვლოდ. როგორც ჩანს, პტოხოპროდრომოსი ნანობს, რომ პოლიტიკური საზომით გამართულ ლექსებზე უკეთესს ვერაფერს სთავაზობს იოანე კომნენოსს: “ამ დროისათვის არაფერი მაქვს მე უბადრუკს, რომ თქვენ წინაშე წარმოვადგინო თქვენი ძალისა და სიკეთის, დიდებულებისა და მოწყალების შესაფერისი, გარდა ისევ მეტრის არმქონე რამდენიმე მოკრძალებული, სამხიარულო, მაგრამ არასაძრახისი პოლიტიკური ლექსისა”:

πρὸ τινος ἦδη πρὸ καιροῦ καὶ πρὸ βραχέος χρόνου,  
οὐκ εἶχον οὖν, δύστηνος, τὸ τί προσαγαγεῖν σοι  
κατάλληλον τᾶν κράτει σου καὶ τῇ χρηστότητί σου,  
καὶ τῇ περιφανείᾳ σου καὶ χαριότητί σου,

<sup>32</sup> Manass. *Hist.*

<sup>33</sup> Prodróm. I.

εἰ μὴ τινὰς πολιτικοὺς ἀμέτρος πάλιν στίχους,  
 συνεσταλμένους, παίζοντας, ἀλλ' οὐκ ἀναισχυντῶντας.<sup>34</sup>

როგორც ჩანს, ბიზანტიელი მწერლებისთვის ამგვარი დაკვეთების შესრულება საარსებო წყარო უფრო იყო, ვიდრე სიმდიდრის წყარო. მაგ., თუ დავუბრუნდებით ცეცეს, ის თავის “ისტორიებში” აღნიშნავს, „რომ თავისი კომენტარებისთვის ღებულა არა ოქროს, არამედ საჭმელს, სასმელს, ხილსა და მისთანებს“:

Αὐτὸς δ' οὐδ' ἐρμηνεύμασιν ἐλάμβανεν χρυσίον,  
 μόλις δὲ βρώματα, ποτούς, ὀπώρας καὶ τοιαῦτα.<sup>35</sup>

მაგრამ პოლიტიკური ლექსით გამართული პოემები ყოველთვის პატრონაჟის აქტის შედეგი როდი იყო. ამ მხრივ საყურადღებოა ფილიპე მონოტროპის თხზულება Διόπτρα<sup>36</sup>, რომელიც 1095-97 წლებით თარიღდება და, სავარაუდოდ, მიძღვნილია კონსტანტინოპოლის პატრიარქ ნიკოლოზ III გრამატიკოსისადმი (1084-1111). ეს პოემა ერთ-ერთ მნიშვნელოვან ტექსტად ითვლება პოლიტიკური ლექსის ისტორიის თვალსაზრისით და, ჩვენს შემთხვევაში, საყურადღებოა იმ მხრივაც, რომ შეიცავს შეფასებით მსჯელობებს პოლიტიკური ლექსისა და ხალხური ელემენტების შემცველი ენის შესახებ. მკვლევართა ნაწილის აზრით Διόπτρα-ს შესავალი ეკუთვნის მიქაელ ფსელოსს.<sup>37</sup> ეს კი გულისხმობს, რომ იგი XI ს-ის 90-იან წლებში ცოცხალი უნდა ყოფილიყო. თუმცა ამ მოსაზრებას არ იზიარებს მეორე

<sup>34</sup> Prodróm. I. 5-10.

<sup>35</sup> Tzet. *Hist.* 11. 24-25.

<sup>36</sup> Philip. *Sol. Diopt.* 9-264.

<sup>37</sup> Sonny 1894: 602-3; Gautier 1966: 159-164; Karpozilos 2004: 671-677; Καρπὸζήλος 2009: 72-74 და სხვ.

ჯგუფი, რომელიც მიქაელ ფსელოსის გარდაცვალების თარიღად 1076 ან 1078 წელს ასახელებს, რაც გამორიცხავს ამ მტკიცებულებას.<sup>38</sup> შესავალში ავტორი მიმართავს მკითხველს თხოვნით, რომ არ მიაქციოს ყურადღება ფილიპეს ბარბარიზმებით სავსე სტილს, რადგან მთავარია თხზულების არსი. ფილიპე ბერის თვითშეფასებაც ანალოგიურია – ვწერ ისე, როგორც შემძლია, უმეცარი მწერალი უმეცარი მკითხველებისთვის. ვურჩევ და ვამხნევებ მათ, როგორც შემძლია. ვწერ ყველასთვის, ბერებისთვის და ერისკაცთათვის, რომელნიც ჩემს მსგავსად გაუნათლებელნი არიან, და არა განათლებულთათვის, ბრძენ რიტორთათვის და სწავლულთათვის:

Ὁ ἀμαθὴς πρὸς ἀμαθεῖς, ἐξ ᾧν ἰσχύω λέγω  
καὶ νουθετῶ καὶ παραινῶ κατὰ τὸ δυνατὸν μοι,  
καὶ κοσμικοὺς καὶ μοναστὰς ὑπομιμνίσκω πάντες  
τοὺς ἰδιώτας κατ' ἔμε τῷ λόγῳ καὶ τῇ γνώσει,  
οὐ μέντοι γε πρὸς γνωστικοὺς οὐτε μὴν πρὸς λογίους  
οὐτε πρὸς ῥήτορας σοφοὺς οὐτε πρὸς διδασκάλους.<sup>39</sup>

სხვა ადგილას ფილიპე მიმართავს მათ, ვინც მის სოფლურ ლექსებს კითხულობს – Ὅσοι ἀναγινώσκετε τοὺς ἀγροικοὺς μου στίχοις<sup>40</sup>, რომ მან შეცვალა სიტყვები, რათა თხზულება უფრო ნათელი და გარკვეული ყოფილიყო. გაამარტივა რთული მონაკვეთები, რათა პრობლემა უფრო ადვილად აღსაქმელი გამხდარიყო. ლიტერატურული გამოცდილების უქონლობის გამო გამართა პოემა სოფლური, უგვანო, უფორმო პოლიტიკური

<sup>38</sup> Schminck 2001: 190-196; Kaldellis 2012: 652-664; Jeffreys 2014: 77-96 და სხვ.

<sup>39</sup> Phil. Sol. Diopt.12-13.

<sup>40</sup> Philip. Sol. Diopt. 224.

ლექსით. შესაძლოა, მისი სიტყვები არ გამოირჩევა განსწავლულობით, მაგრამ გასაგებია:

Τὰς δὲ γε λέξεις ἤμειψα καὶ εὐληπτον συνθήκην  
 εὐσύνοπτον τε καὶ σαφή καὶ πλήρη εὐφραδείας,  
 τὰ δύσκολα πεποίηκα εὐκόλα τοῦ νοεῖσθαι.  
 Εἰς στίχους γὰρ πολιτικούς μετέφρασα ταῦτά γε,  
 ἀγροικικούς καὶ παντελῶς ἀκαλλεῖς καὶ ἀμόρφους,  
 ὅτι γραμμάτων ἄπειρος τυγχάνω ὡς ἐπίπαν·  
 αἱ λέξεις ἰδιωτικαί· οὐχ οὕτως δὲ ἡ γυνῶσις.<sup>41</sup>

ამგვარად, Διόπτρα-ს ავტორი გადმოგვცემს იმ შეხედულებებს, რაც პოლიტიკური ლექსისა და ხალხური ენის შესახებ არსებობდა ბიზანტიურ ლიტერატურულ წრეებში. ხოლო საკუთარ არჩევანს ხსნის არა დამკვეთის სურვილით, არამედ იმ ფაქტით, რომ ეს სტილი უფრო მახლობელია როგორც მისთვის, ასევე მისი მკითხველისთვის. ბოლოს, ის პატიებას ითხოვს მათგან, ვისაც სიამოვნებას ჰგვრის ანტიკური მეტრით გამართული ლექსების კითხვა. სთხოვს მათ, რომ არ გაკიცხონ, რადგან მან, როგორც განუსწავლელმა, არაფერი იცის მეტრის შესახებ და ამიტომ პოლიტიკური ლექსი გამოიყენა. ხოლო ვისაც სურს სულიერი საზრდოს მიღება, მისი წიგნის აზრსა და მნიშვნელობას უნდა მიაპყროს გონება:

Εἰ δέ τι καὶ παρῆσφalon, ὡς ἄτε ἰδιώτης,  
 εἰς τὴν συνθήκην ἔνταυθοῖ καὶ συμπλοκὴν τῶν στίχων,  
 τὸ μέτρον τούτων ἀγνοῶν πολιτικῶς ἐφράσθην,  
 λοιπὸν συγγνώμην ἔξαστῶ τοὺς ἐντροφῶντας τούτοις·  
 μηδεὶς μου καταμέμψηται, μηδεὶς με μυκτηρίσῃ

<sup>41</sup> Philip. *Sol. Diopt.* 224.

ἀλλ' εἰς τὸν νοῦν προσάγετε καὶ δύναμιν τοῦ λόγου,  
εἶπερ ζῆτεῖτε ψυχικὴν ὀφέλειαν εὐρέσθαι.<sup>42</sup>

ეს ამონარიდები ფილიპე ბერის თხზულებიდან ერთ-ერთი თვალსაჩინო ნიმუშია იმ მეტრული თუ ლექსიკური სხვაობისა, რაც ამ პერიოდის ბიზანტიურ სამეცყველო და სალიტერატურო ენებს შორის არსებობდა. და, მიუხედავად იმისა, რომ ბიზანტიელი მწიგნობრები ანტიკური მეტრის სადარაჯოზე მუდმივად იდგნენ, ფონეტიკაში მომხდარი უკუქცევადი პროცესები გარდაუვალს ხდიდა, რომ ლექსის ფორმა და სტრუქტურა ახალ პრინციპებს დაფუძნებოდა. თუმცა, ალბათ, კომენოსების საიმპერატორო კარის ჩაურევლობის შემთხვევაში ბევრი პოლიტიკური ლექსით გამართული პოემა უბრალოდ არ შეიქმნებოდა. ჩვენ არ შეგვიძლია განვსაზღვროთ, თუ ზეპირსიტყვიერების კომპონენტის რა წილია პროცესებში, რაც XIII-დან ვითარდება. მაგრამ, სავარაუდოა, რომ იმ დროისათვის, როდესაც ხალხური, სამეცყველო ენის ლიტერატურაში ინტეგრირების პროცესი დაიწყო, მწერლებს ზეპირსიტყვიერების გარდა რაიმე სხვა ნიმუში არ გააჩნდათ.<sup>43</sup> ამგვარად, კლასიციზმის იმიტირების ხანგრძლივი პერიოდის შემდგომ, ბერძენმა ავტორებმა დაიწყეს ამ ტრადიციიდან გადახვევა და ხალხურ ენაზე წერა. ამ დროს კი მათი მთავარი ინსტრუმენტი პოლიტიკური ლექსი იყო.

პოლიტიკურ ლექსსა და საიმპერატორო ოჯახს შორის კავშირი არსებობდა კომენოსების ეპოქამდეც. კერძოდ, იმ თხზულებების უმეტესობა, რაც მიქაელ ფსელოსს გამართული აქვს პოლიტიკური ლექსით, მიძღვნილია იმპერატორებისადმი. მაგა-

<sup>42</sup> Phil. Sol. Diopt. 224.

<sup>43</sup> Beaton 1986: 110-133.

ლითად, მისი “ელემენტარული გრამატიკა”<sup>44</sup> და “ფსალმუნების აღწერა”<sup>45</sup> ეძღვნება კონსტანტინე IX მონომახოსს, ხოლო დანარჩენი თხზულებები შექმნილია მაშინ, როდესაც ის კონსტანტინე X დუკას მენტორი და ნდობით აღჭურვილი პირი იყო და მასწავლებლი მიქაელ VII დუკა პარაპინაკასი. ასე, მაგალითად „ქებათა-ქების კომენტარებში“ ფსელოსი პირდაპირ მიმართავს კონსტანტინეს, თუ მიქაელს, რომ ასრულებს მის თხოვნას როგორც მისი მსახური და დიდი მონდომებით პოლიტიკური ლექსით გამოთქვამს „ქებათა-ქების“ აზრს:

Ἐμεῖς δὲ τὸ ἐπίταγμα τὸ σόν, ᾧ στεφφορδε,  
ἀποπληρῶσαι θέλοντες ὡς δούλοι τοῦ σοῦ κράτους,  
πολιτικοῖς ἐφράσαμεν ὡς δυνατὸν ἐν στίχοις  
τῆν τῶν Ἀσμάτων δύναμιν, ἐξήγησιν καὶ γνῶσιν.<sup>46</sup>

თუმცა, პოლიტიკური ლექსით გამართული ტექსტების უდიდესი ნაწილი კომენტარების საიმპერატორო მმართველობასთან ასოცირდება. საინტერესო ფაქტია ისიც, რომ კომენტარების ეპოქაში დაიწერა ყველაზე მეტი პოეტური ნაწარმოები, ვიდრე ბიზანტიის ისტორიის ნებისმიერ სხვა პერიოდში. იოანე II კომნენოსის 1118 წელს ტახტზე ასვლიდან საუკუნის დასასრულამდე უამრავი პოლიტიკური ლექსის ნიმუშია შექმნილი, როგორც ანონიმური, ისე მიძღვნილი საიმპერატორო ოჯახის სხვადასხვა წევრისადმი. ეს კორპუსი იოანე II-ს, მის ვაჟიშვილებსა და მათ ცოლებს უკავშირდება. მანუელ I-ის უმცროსი ძმა სევასტოკრატორი ანდრონიკე კომნენოსი, მისი ცოლი ირინი და მათი შვილები ინტენსიურად იყვნენ ჩაბმულნი ათეულობით პროდრო-

<sup>44</sup> Psell. *Gramm.*

<sup>45</sup> Psell. *Psalms.*

<sup>46</sup> Psell. *Psalms.* Ἐπιλογος: 14-17.



მიკული (მარციანუსის კოდექსი XI22) პომეის შექმნის პროცესში, რომელთა უმეტესობა პოლიტიკური ლექსით არის გამართული.<sup>47</sup> თავად მანუელ I-ისა და მისი ცოლის ირინისადმი მიძღვნილი თხზულებების სიაც საკმაოდ ვრცელია. მანგანეოს პროდრომოსი, როგორც პირობითად უწოდებენ მარციანუსის კოდექსში XI22 დადასტურებული პოეტური თხზულებების ავტორს, იყო საიმპერატორო კარის პოეტი და წერდა დაკვეთით. მისი პოემები უკავშირდება იმპერიის ისტორიის, ან საიმპერატორო ოჯახის ცხოვრების მნიშვნელოვან მოვლენებს, ხოლო მათი საზომი თითქმის ყოველთვის არის პოლიტიკური ლექსი. მათ შორის არის ჰიმნები იმპერატორისა და მისი ოჯახისადმი, რაც იპოდრომზე გამართული საზეიმო ცერემონიის დროს უნდა შესრულებულიყო; შობისა და ნათლისღების აღსანიშნავად დაწერილი, იოანე II კომნენოსისადმი მიძღვნილი სიმღერები; იოანე კომნენოსის ტრიუმფალური პროცესიისათვის შექმნილი სახოტბო ლექსები; ალექსი II კომნენოსის (იოანე კომნენონის ვაჟი) იმპერატორად კურთხევისათვის მიძღვნილი პოემა და სხვ. ეს კორპუსი კიდევ უფრო ნათლად წარმოგვიდგენს კავშირს საიმპერატორო კარსა და პოლიტიკურ ლექსს შორის. გარდა ამისა, ამ ლექსების აბსოლუტური უმრავლესობა საჯარო დემონსტრირებისთვის იყო გამიზნული იპოდრომზე შეკრებილი ხალხის წინაშე<sup>48</sup> და, შესაბამისად, გასაგები უნდა ყოფილიყო უბრალო ადამიანებისათვის. თუკი გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ხშირად საიმპერატორო ოჯახის წევრებიც ნაკლებად განსწავლულნი იყვნენ და ზოგი მათგანის მშობლიურ ენას ბერძნული არ წარმოადგენდა, სრულიად გასაგებია მოთხოვნა, რომ პოეტებს

<sup>47</sup> იხ. Παπαδημητρίου 1903: 107-10.

<sup>48</sup> Jeffreys 1974: 176-177.

უბრალო, გასაგებ ენაზე ეწერათ, რასაც პოლიტიკური ლექსის გამოყენება უზრუნველყოფდა. ამავე დროს, ლიტერატურული აუდიტორია მნიშვნელოვნად უნდა გაფართოებულყო XIII-ის განმავლობაში, შესაძლოა, პოეტური თხზულებების საჯაროდ წაკითხვის ხარჯზე.<sup>49</sup>

რა თქმა უნდა, ამ მოვლენების დროს იყო გარკვეული ზეწოლა მწერლებზე. მაგრამ, როგორც მ.ჯეფრის აღნიშნავს, შეიძლება დასანანიც კია, რომ ასეთი ზეწოლა უფრო ხშირი არ იყო ბიზანტიურ ლიტერატურაში, რამდენადაც სწორედ პოლიტიკურ ლექსს უკავშირდება საბოლოოდ ბიზანტიური საერო მწერლობის ჩამოყალიბება<sup>50</sup>. ხალხური ენა და პოლიტიკური საზომი შეუცვლელი მედიუმი გახდა მხატვრული ლიტერატურისთვის და შემდგომში განაპირობა ისეთი ჟანრის განვითარება როგორცაა ბიზანტიური რომანი<sup>51</sup>. ამ თხუთმეტმარცვლოვანმა აქცენტებმა მეტრმა ავტორს შესაძლებლობა მისცა, რომ მას საერო თხზულებები ეწერა. სწორედ ამ საზომით არის დაწერილი ბიზანტიური გმირული პოემა „დიგენის აკრიტასი“ (სავარაუდოდ X-XI ს.), რომელიც, ამავე დროს, ბერძნულ ხალხურ ენაზე დაწერილ პირველ თხზულებად მიიჩნევა<sup>52</sup>. ხოლო მის უძველეს, გროტაფერატას ვერსიის ტექსტში მკვლევარები კომენტარების საიმპერატორო კარზე გადამუშავების კვალს ხედავენ. კომენტარების საიმპერატორო ოჯახის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს დამკვიდრებული ტრადიცია, რომლის მიხედვითაც პოლიტიკური ლექსით გაწყობილი და ხალხური ენის ელემენ-

<sup>49</sup> Kazhdan and Epstein 1985, 197-98.

<sup>50</sup> Jeffreys 1981, 116.

<sup>51</sup> Beaton 1996, 92.

<sup>52</sup> Soltic 2015, 1-2; „დიგენის აკრიტასის“ ქართული თარგმანისთვის იხ. ელიზბარაშვილი 2017: (ვრცელი შესავალი წერილითა და ბიბლიოგრაფიით).

ტების შემცველი პოემები იქმნებოდა, არაარისტოკრატიული წარმომავლობის მწერლების მიერ, მაგრამ არისტოკრატის უმაღლესი წრის წარმომადგენელთათვის, განსხვავებით იმ პერიოდის დასავლურ ლიტერატურაში არსებული ტენდენციისგან, სადაც ხალხური ენით დაწერილი თხზულებები მასებისთვის იყო გამიზნული<sup>53</sup>. ამგვარ მიდგომას არცთუ უმნიშვნელო როლი უნდა ეთამაშა იმ ლიტერატურულ პროცესებში, რასაც შემდგომ, XIV-XV საუკუნეებში ჰქონდა ადგილი ბიზანტიური რომანული ჟანრის განვითარების მხრივ, რის წინამორბედადაც XIIს-ში, კომნენოსების ეპოქაში დაწერილი ოთხი რომანი მოიაზრება: ევსტათე მაკრემბოლიტის “ისმინე და ისმინია”, თეოდორე პროდრომოსის “როდანთე და დოსიკლე”, ნიკიტა ევგენიანის “დროსილა და ქარიკლე” და კონსტანტინე მანასეს “არისტანდრე და კალითეა” (ფრაგმენტულად შემონახული).<sup>54</sup>

ამგვარად, პოეტები ხშირად თავად ახდენენ იმ მოტივების დემონსტრირებას, თუ რატომ მიმართავენ პოლიტიკურ ლექსს, რასაც მივყავართ მაღალი არისტოკრატიული წრის წარმომადგენელთა, საიმპერატორო ოჯახის წევრთა მხრიდან პატრონაჟის აქტამდე. ამგვარი განმარტებების საჭიროება განპირობებული იყო ბიზანტიურ ლიტერატურულ წრეებში არსებული კონიუნკტურით, რაც პოლიტიკურ ლექსს ყველაზე მდარე ხარისხის საზომად მოიაზრებს. თუმცა პოლიტიკურ ლექსს აქვს ხიბლი, რამაც განაპირობა მისი მზარდი პოპულარობა შემდგომ საუკუნეებშიც – ის ავტორს თავისუფლებას ანიჭებდა. განსხვავებით კვანტიტეტური მეტრისგან, რაც იმ დროითვის უკვე კარგა ხნის მკვდარი და ხელოვნური იყო, ავტორს საშუალება ეძლეოდა

---

<sup>53</sup> Matons 1976, 4-6.

<sup>54</sup> Agapitos 2004: 12.

უფრო მოქნილად ემოქმედა და შეერჩია ლექსიკა, სტილი, წინადადების სტრუქტურა. ამავე დროს, როგორც ლიტერატურული ფორმა, იდგა კრიტიკის მიღმა, რადგანაც არ არსებობდა ანტიკური სტანდარტები და ჩარჩოები მის შესაფასებლად.

ბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ პოლიტიკური ლექსი/ποιητικὸς στιχὸς ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სიახლე იყო ბერძნულ მეტრულ სისტემაში ანტიკურობის შემდგომ, რასაც მრავალსაუკუნოვანი მეტრული დეკადანსის პირობებში ჰქონდა ადგილი. და ეს ექსპერიმენტი იმდენად წარმატებული აღმოჩნდა, რომ დღესაც ცოცხალია.

### **ბიბლიოგრაფია:**

Agapitos, Panagiotis, A. 2004. “Genre, Structure and Poetics in Byzantine Vernacular Romances of Love”, *Symbolae Osloenses*, 79: 7-101.

Beaton, Roderick. 1996. *The medieval Greek romance*. London and New York: Routledge.

Beaton, Roderick. 1986. “The Oral Traditions of Modern Greece: A Survey”. *Oral Tradition* 1/1: 110-133.

ელიზბარაშვილი, ელისო. 2017. „დიგენის აკრიტასი“. გამოკველვა, თარგმანი, კომენტარები, თბილისი: ლოგოსი.

Gautier, Paul. 1966. “Monodie inédite de Michel Psellos sur le basileus Andronic Doucas”, *Revue des études byzantines* 23: 153-170.

Henrichsen, Rudolph Johannes Frederik. 1839. *Über die sogenannten politischen Verse bei den Griechen* (German trans.), Leipzig: Engelmann.

Jeffreys, Michael and Elizabeth Jeffreys. 2016. “The traditional style of thirteenth-century Greek ‘politikos stichos’ poetry and the search for its origins”, *Byzantine and Modern Greek Studies*. 40 /01: 69-81.

Jeffreys, Michael J. 1974. *The Nature and Origins of the Political Verse*. *Dumbarton Oaks Paper*, 28: 143-195.

Jeffreys, Michael. 1981. “The Late Greek Verse Romances, A survey”. *Byzantine papers* (Canberra), 116-127

Jeffreys, Michael. 2014. “Psellos in 1078”, In *Byzantinische Zeitschrift* 107 (1): 77-96.

Kaldellis, Anthony. 2012. “The date of Psellos' death, once again: Psellos was not the Michael of Nikomedeia mentioned by Attaleiates”, *Byzantinische Zeitschrift* 104 (2): 652-664.

Karpozilos, Apostolos. 2004. “When did Michael Psellus die? The evidence of the *Dioptra*”, In *Byzantinische Zeitschrift*, 96 (2): 671-677.

Καρπόζηλος, Απόστολος. 2009. *Βυζαντινοὶ ἱστορικοὶ καὶ χρονογράφοι* (11ος-12ος αι.), Αθήνα: Κανάκη.

Kazhdan, Alexander P. and Ann Wharton Epstein. 1985. *Change in Byzantine Culture in the Eleventh and Twelfth Centuries*. Berkeley-Los Angeles-London: University of California Press.

Kazhdan, Alexander, ed. 1991. *Oxford Dictionary of Byzantium*. New York and Oxford: Oxford University Press.

Koder, Johannes, ed. 1969. *Syméon le Nouveau Théologien: Hymnes. Sources Chrétiennes*. Vol. 156. Paris.

Maas, Paul. 1962. *Greek Metre*, Oxford: the Clarendon Press.

Magdalino, Paul. 2002. *The Empire of Manuel I Komnenos, 1143-1180*. Cambridge: Cambridge University Press.

Matons, Grosdidier, J. 1976. *Courants archaïsants et populaires dans la langue et littérature*, Athens.

Papadimitriou, Synodis D. 1903. “ Ὁ Πρόδρομος τοῦ Μαρκιανοῦ κώδικος XI 22”, *VizVrem*, 10: 102- 163.

Schminck, Andreas. 2001. “Zum Todesjahr des Michael Psellos”, *Byzantinische Zeitschrift* 94: 190-196.

Soltic, Jorie. 2015. “The Late Medieval Greek πολιτικός στίχος poetry, Language, metre and discourse”, PhD diss., University of Ghent.

Sonny, A. 1894. “Das Todesjahr des Psellos und die Abfassungszeit der *Dioptra*”, *Byzantinische Zeitschrift*, 3: 602-3.

Spanos, Apostolos. 2014. “Was innovation unwanted in Byzantium?” *Wanted Byzantium, the Desire for a Lost Empire?* edited By Ingela Nilsson and Paul Stepherson, 43-56. Uppsala: Uppsala University.

Tsiknopoulos, I.P. 1952. “ Ἡ Ποιητικὴ Παραγωγή τοῦ Ἐγκλείστου Ἀγίου Νεοφύτου”, *Κυπριακαὶ Σπουδαί* 16: 41-49.

Wendel, Carl. 1940. “Das unbekannte Schlussstück der Theogonie des Tzetzes”, *Byzantinische Zeitschrift*, 40: 23-26.

Eliso Elizbarashvili

Giorgi Tsereteli Institute of Oriental Studies, Georgia

### **Innovations in Poetry at the Comnenian Court**

*Key Words: Byzantium, Political Verse, Comneni, Byzantine Poetry*

Popularity of vernacular vocabulary, style and metric form in poetry at the Comnenian Court maybe is the best illustration of how innovations were not only accepted, but also appreciated and encouraged by Byzantine aristocracy. The authors using vernacular vocabulary and grammar, did not belong to the upper nobility, but wrote for the highest members of the aristocracy.

As vernacular vocabulary was being introduced into literature, metrical structure was changing. The distinction between long and short syllables on which ancient meters had been based, disappeared from everyday speech from before the foundation of Constantinople. And after centuries of general decadence there appeared only one striking experiment – so called political verse/ πολιτικὸς στίχος – which succeeded so magnificently that it produced a popular form still alive today. The first samples with this fifteenth-syllable tonic metrical structure are known in Byzantine poetry beginning from the tenth century.

Like the vernacular idiom, political verse was ambiguously received in literary circles. Despite the fact that, many poets (Planudes, Eustathios of Thessalonike, Tzetzes and others) refuse to acknowledge it as a legitimate. Members of the Comnenian aristocracy, in contrast, evidently found the fifteenth syllable meter quite attractive and poets complained that their noble customers expected his poems to be written in political verse.